

ემპირიული კვლევები, ინტერდისციპლინური კვლევები

ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე 4-6 წლის ქართულენოვანი ბავშვების ენობრივი პროდუქციის ლინგვისტური და ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი

ირინე დოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ გაგოშიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი იყო ექსპრესიული ენის დარღვევის ნეიროფსიქოლოგიური და ლინგვისტური ანალიზი ქართულენოვანი ბავშვების პოპულაციაში. კვლევაში მონაწილეობდნენ ექსპრესიული ენის დარღვევის და ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე 4-6 წლის ბავშვები, სულ - 40 მონაწილე. ბავშვების მეტყველება ფასდებოდა ფორმალური ტესტირებით, და თავისუფალი თამაშის არაფორმალურ სიტუაციაში.

ორი ჯგუფის მონაცემთა შედარებით გამოვლინდა, რომ ენის ნორმალური განვითარების მქონე ბავშვები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ენის დარღვევის მქონე ჯგუფისაგან შემდეგი ფაქტორების მიხედვით: არტიკულაციური ($t(38) = -4,65, p < 0,001$), ფონოლოგიური ($t(38) = -2,48, p < 0,05$), სინტაქსური შეცდომები ($t(38) = -3,67$), გამონათქვამის სიგრძის მაჩვენებელი ($t(38) = 3,62, p = 0,001$), შეცდომების საერთო რაოდენობა ($t(38) = -5,36, p < 0,001$). აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ: ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვებთან ძირითადი შეცდომები დაკავშირებულია ფონოლოგიურ და სინტაქსურ შეცდომებთან, ბგერათა არტიკულაციასთან; აღნიშნული დარღვევის მქონე მოზარდებს უჭირთ რთული წინადადებების წარმოება. მოცემული ჯგუფების შედარებისას არ გამოვლინდა თვისებრივი განსხვავება. ორივე ჯგუფი მსგავსი ტიპის შეცდომებს უშვებდა, განსხვავება დაკავშირებული იყო შეცდომების საერთო რაოდენობასთან.

მონაცემთა რეგრესული ანალიზით გამოვლინდა, რომ, გამონათქვამის სიგრძისა და მთლიანი პროდუქციის მიხედვით, შეგვიძლია ვინინასწარმეტყველოთ შეცდომების ტიპები და, ამასთან - მხოლოდ ნორმის შემთხვევაში.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის შედეგად შეგვიძლია სამი ზოგადი დასკვნის გამოტანა: 1. ექსპრესიული ენის დარღვევის დროს ენობრივი უნარის ათვისება გახანგრძლივებულია და ეს ენის ატიპური განვითარების დარღვევა არ არის. 2. ექსპრესიული ენის დარღვევის დროს გამოვლენილ დეფიციტთა პროფილი დამოკიდებულია

ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე...

კონკრეტულ ენასა და ამ ენის მიერ ბავშვისათვის წაყენებულ მოთხოვნებზე. 3. ქართულად მოუბარი ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია, უპირატესად, ფონოლოგიური, არტიკულაციური, სინტაქსური შეცდომები და მოკლე წინადადებებით საუბარი; 4. Levelt-ის კოგნიტიური მოდელის მიხედვით, ქართულენოვან ბავშვებთან დეფიციტური რგოლია გრამატიკული და ფონოლოგიური კოდირებისა და დამატებით ფონეტიკური გეგმის არტიკულაციის საფეხური.

საკვანძო სიტყვები: ენის დარღვევა, ლინგვისტიკა, ნეიროფსიქოლოგია, ენის კოგნიტიური მოდელი.

შესავალი

ენის ათვისება და მეტყველება ის უნიკალური ატრიბუტია, რომელიც ადამიანის რაობას განსაზღვრავს და მისი ფუნქციონირების ბევრ სფეროზე ახდენს გავლენას. აღსანიშნავია, რომ ენისა და მეტყველების დარღვევები ჰეტეროგენული ჯგუფია. გარდა დარღვევის სიმძიმისა, განსხვავება დეფიციტის სიმპტომთა პროფილსა და ფუძემდებლურ მექანიზმზეც შეიძლება ვრცელდებოდეს. ბუნებრივია, რომ სწორი ჩარევის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ზუსტი დიაგნოსტიკა. მიუხედავად სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ინტერესის ზრდისა და დიაგნოსტიკის ახალი ინსტრუმენტების დახვეწისა, სირთულეები ამ მიმართულებით კვლავ არსებობს. ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია სხვადასხვა მდგომარეობის სიმპტომთა ურთიერთგადაფარვასთან, რაც ართულებს დიაგნოზის დასმის პროცესს და ხშირ შემთხვევაში ზრდის არასწორი დიაგნოსტიკის რისკს.

შესაბამისად, აუცილებელია სხვადასხვა დარღვევისთვის დამახასიათებელი უფრო ნატიფი მარკერების გამოვლენა, რაც გაცილებით ზუსტს გახდის დიაგნოსტიკის პროცესს და ხელს შეუწყობს ჩარევის ეფექტურობას. ჩვენი ინტერესის სფეროა ქართულენოვან ბავშვებთან *ექსპრესიული ენის დარღვევის ლინგვისტური და ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი და შედეგების შედარება ასაკის შესაბამისად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე ბავშვების მონაცემებთან - ენის კომპონენტების (ფონოლოგია, სემანტიკა, სინტაქსი, მორფოლოგია და პრაგმატიკა) მიხედვით.*

ვიდრე უშუალოდ კვლევის სტრატეგიისა და შედეგების აღწერაზე გადავიდოდეთ, მოკლედ განვმარტავთ ძირითად ტერმინებს და შევხებით ამ მიმართულებით უკვე გადადგმულ ნაბიჯებს, გამოცდილებას, რაც ხაზს უსვამს კვლევის სარგებლიანობას.

ენა ურთულესი ფენომენი და ნებისმიერი ადამიანის თანდაყოლილი უნარის გამოხატულებაა. ენა აბსტრაქტული ნიშან-სიმბოლოებისა და წესებით განსაზღვრული სტრუქტურების სისტემაა, რომლის კონკრეტული და შეთანხმებული კანონებიც დაისწავლება (ჰულიტი, ჰოვარდი, & ფეჰი, 2012). ენა განიმარტება მისი შემადგენელი სტრუქტურული კომპონენტების ტერმინებით: ფონოლოგია, სემანტიკა, სინტაქსი, მორფოლოგია და პრაგმატიკა (Hedge & Maul, 2006). ამერიკელი ლინგვისტების,

Bernard Bloch-ისა და George L. Trager-ის მიხედვით, ენა სიმბოლოების სისტემაა, რომელსაც გარკვეული სოციალური ჯგუფი ურთიერთობის პროცესში იყენებს. მისი მთავარი ფუნქცია ინფორმაციის ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის გადაცემაა (Godfrey, 2019). ენის მთავარი მახასიათებლებია: კომუნიკაციურობა, სიმბოლურობა, სტრუქტურულობა, მრავალ დონეზე სტრუქტურირებულობა, პროდუქტიულობა, დინამიკურობა (Stenberg & Stenberg, 2012).

ენის რაობაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ შვეიცარიელი ლინგვისტის, Ferdinand De Saussure-ს შეხედულება ენის სტრუქტურასთან დაკავშირებით. მისი მოსაზრების მიხედვით, „ენა - ეს არის სიმბოლოების სისტემა, რომელიც საჭიროა იდეების ჩამოსაყალიბებლად“ (Jeleta, 2019). სოსიურის აზრით, მნიშვნელოვანია, ენა განვიხილოთ მისი შემადგენელი ერთეულების და წესების საფუძველზე, რისი წყალობითაც, მთლიანი სისტემა გამართულ ფუნქციონირებას ახერხებს. თავის თეორიაში მან გამოყო რამდენიმე კონცეპტი: ენა და მეტყველება (lingue და parole); აღმნიშვნელი და აღნიშნული (signifier და signified); სინქრონიულობა და დიაქრონიულობა (synchronic და diachronic); სინტაგმატიურობა და ასოციაციურობა, პარადიგმატიკურობა (syntagmatic და associatiative/paradigmatic).

პირველი კონცეპტის მიხედვით, ენა - ეს არის მთლიანი სისტემა, ხოლო მისი გამოყენების ერთ-ერთი თავისებურებაა მეტყველება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ინდივიდის კონკრეტულ აქტივობას, რისი სოციალური მანიფესტაციაც ენაა (Araki, 2015).

თავის მხრივ, ენა - ეს არის მნიშვნელობის/აზრისა და ბგერების ურთიერთკავშირი. მნიშვნელობები/აზრები გონებაში კოდირდება და ბგერების სახით გადმოიცემა. Saussure-ს აზრით, ენა გულისხმობს სწორედ აზრისა და ბგერის კომბინირებას და კომუნიკაციის პროცესში გამოყენებას. სწორედ აქ იჩენს თავს მისი **მეორე კონცეპტი**: აღნიშნული - ეს არის სიტყვის მნიშვნელობა, ხოლო აღმნიშვნელი - მის შესაბამის ბგერათა კომბინაცია. ამასთან, სხვადასხვა ენაში აღმნიშვნელი განსხვავებულია და დამოკიდებულია კონკრეტულ ენობრივ ჯგუფში მიღწეულ შეთანხმებაზე. აღმნიშვნელი და აღნიშნული ერთად ქმნიან ლინგვისტური მნიშვნელობის სიმბოლოს, რომელთა გამოყენებაც სწორხაზოვანია - ჩვენ ერთდროულად ვერ ვიტყვით ორ სიტყვას, არამედ წარმოვთქვამთ თანმიმდევრულად.

Saussure-ს თეორიაში ლინგვისტურ ნიშანთა ურთიერთკავშირი შესაძლოა იყოს სინტაგმატიური (სწორხაზოვანი, რიგ-რიგობითი, თანმიმდევრული) ან ასოციაციური/პარადიგმატიკური (წესით განუსაზღვრელი). „მეტყველების დროს ელემენტები თანმიმდევრულად განლაგდებიან და ქმნიან ჯაჭვს“ (Jeleta, 2019). სინტაგმატიური ურთიერთობა გულისხმობს ნიშნების თანმიმდევრულ განლაგებას, რაც ქმნის მნიშვნელობას. მაგალითად, სიტყვის შემადგენელი ასო-ბგერები ქმნიან სინტაგმატიურ ერთობას. ამ ტიპის კავშირი მკაცრად კონტროლდება შესაბამისი წესებით. პარადიგმატიკური ანუ ასოციაციური კავშირისას კი ერთი ნიშანი შესაძლოა ჩანაცვლდეს მეორით (Jeleta, 2019). მაგალითად: ინდივიდუალური ასო-ბგერებისთვის პარადიგმატიკური ურთიერთობა გულისხმობს სხვა ბგერასთან ისეთ კავშირს, როცა ჩანაცვლება მნიშვნელობას ცვლის.

ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე...

Saussure განასხვავებს სინქრონიულ და დიაქრონიულ ლინგვისტიკასაც. პირველი მათგანი გულისხმობს კონკრეტული დროის მონაკვეთში ენის დეტალურ შესწავლას, ხოლო მეორე მის ევოლუციურობას - მის შეფასებას ნარსულიდან დღემდე.

მეტყველება ენის ზეპირი გამოხატულებაა. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ რთულ ფიზიოლოგიურ პროცესად, რომელიც სუნთქვას, ფონაციას, სონორალური ბგერების წარმოქმნასა და არტიკულაციას მოითხოვს (ჭულიტი, ჰოვარდი, & ფეჰი, 2012). მეტყველება რთული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პროცესია. მისი განხორციელებისთვის საჭიროა სამეტყველო ბგერების აღქმა, პასუხის მომზადება, მოტორული მოქმედებების გააქტიურება, გაკონტროლება და საბოლოოდ - პროდუქცია (McLeod & McCormack, 2015).

ენისა და მეტყველების განვითარების სპეციფიკური დარღვევა - ეს არის ენის გაგებისა და პროდუქციის პრობლემებით გამოწვეული მნიშვნელოვანი სირთულე, დაკავშირებული ენის გამოყენებასთან სხვადასხვა მოდალობაში (ზეპირი, წერილი, ნიშნების და ა.შ). ამ დროს ენის განვითარება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ასაკობრივ ნორმას;

ICD-10-ის მიხედვით, ენისა და მეტყველების განვითარების სპეციფიკური დარღვევა გულისხმობს განვითარების ადრეულ ასაკში ენის ათვისების სირთულეს, რაც არ უკავშირდება ნევროლოგიურ ან სამეტყველო მექანიზმის პრობლემას, სენსორულ დარღვევას, გონებრივ ჩამორჩენასა თუ გარემოფაქტორების ზემოქმედებას. ენისა და მეტყველების განვითარების სპეციფიკურ დარღვევას ხშირ შემთხვევაში თან ახლავს კითხვის, მართლწერის, ინტერპერსონალური ურთიერთობის დამყარების, ემოციური თუ ქცევითი სირთულეები.


ენის ნორმალური განვითარება გულისხმობს ბგერების, სიტყვების, წინადადე-ბების აღქმისა და წარმოქმნის, სოციალური სიტუაციისამებრ გამოყენების შესაძ-ლებლობას (Lyons, 2013). განსხვავებული ასაკობრივი საფეხურისთვის მისაღწევი მიზნები განსხვავებულია და ფასდება სხვადასხვა ადაპტირებული ტესტის შესა-ბამისად. მათზე დაყრდნობით, შესაძლებელია ბავშვის მიღწევის შეფასება და სა-ჭიროების განსაზღვრა.

არსებობს კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ სხვადასხვა ენისთვის გან-სხვავებულ სიმპტომთა პროფილი იქმნება ენობრივი დარღვევების დროს (ენის ესა თუ ის კომპონენტი ან მათი კომბინაცია ირღვევა) და ეს დამოკიდებულია თავად ენის სირთულეზე. მაგალითად: ინგლისურენოვანი ბავშვები ხშირად ვერ უმკლავდებიან ლექსიკური მარაგის, თხრობის, გრამატიკული მორფემების გამოყენების პრობლემას; გერმანულენოვან ბავშვებს ერთულებათ გრამატიკული რიცხვის, წინადადების წევრების ურთიერთშეთანხმება და ზმნის უღლება; შვედურენოვანების შემთხვევაში პრობლემაა გრამატიკული დროისა და რიცხვის გამოყენება; იტალიურენოვან ბავშვებს ფუნქციონალური სიტყვების, არტიკლებისა და ნაცვალსახელების გამოყენებისას სჭირდებათ დახმარება; ფრანგულენოვან ბავშვებს ახასიათებთ ზმნასთან შეთანხ-მების, დამხმარე ზმნებისა და დროის სწორად გამოყენების პრობლემა (Bavin, 2009). დამატებით, ნ. იმედაძის კვლევამ, რომელიც შეეხებოდა 3-5 წლის ქართული ბავშვების ნარატივების შედარებას ესპანელი, გერმანელი, ინგლისელი და ებრაელი ბავშვების მიერ დავალების შესრულებასთან (დავალება - სიუჟეტური სურათის აღწერა),

გამოავლინა, რომ ქართულ ენაზე მოუბარი მოზარდებისთვის ნიშანდობლივია განსხვავებული კანონზომიერება. სკოლამდელ ასაკში ქართველი ბავშვების 30% იყენებს მხოლოდ ზმნის წყვეტილ და უწყვეტ ფორმებს, განსხვავებით - ესპანელი და ინგლისელი ბავშვებისგან. ამ ასაკის ბავშვები ზმნისწინიან ფორმებს, გეზის ზმნისწინებს თავისუფლად იყენებენ როგორც მოძრაობის ზმნებთან, ისე პერცეპტული მოქმედებების მიმართულების გამოსახატავად. ასევე, უკვე თავისუფლად შეუძლიათ აღნიშნონ კაუზაცია მოთხრობითი ბრუნვის (ერგატიული ფორმის) და გრამატიკული ფორმის-კონტაქტის გამოყენებით (იმედაძე, 2017).

თუ შევეცდებით Levelt-ის კოგნიტიური მოდელის მიხედვით აღნიშნული მონაცემების ახსნას, აღმოჩნდება, რომ სხვადასხვა ენისთვის განსხვავებული საფეხურია დეფიციტური. ამ მოდელის მიხედვით, განსხვავება ენის გაგებასა და პროდუქციას შორის სპეციფიკურია. ენის გაგება იწყება სასაუბრო ან დაწერილი შესავლით, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება კონცეპტად, ხოლო პროდუქცია იწყება კონცეპტით და შემდეგ იღებს თავისი შესაბამისი სიტყვის ფორმას. თითოეულ საფეხურს ფუნქციონირებისთვის საჭირო განსხვავებული სიჩქარე აქვს და ეს პროცესი მთლიანად ავტომატურია (იხ. სურათი 1.1.) (Levelt, 2009).

სურათი 1. Levelt-ის ენის გაგებისა და პროდუქციის კოგნიტიური მოდელი:



ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე...

ენობრივი უნარების განვითარებით, ათვისებითა და ლინგვისტური თავისებურებით ქართველი მეცნიერები მუდმივად ინტერესდებოდნენ. ჯერ კიდევ 1953 წელს ა. მოსიავა იკვლევდა წერის სწავლის პროცესის ფსიქოლოგიურ ბუნებას (მოსიავა, 1953), რ. ნათაძემ კი თავისი ნაშრომი მიუძღვნა კონტექსტიდან ცნების შემუშავების ონტოგენეზის გარკვევას (ნათაძე, 1953). იგი იკვლევდა სასკოლო პერიოდში ცნებების დაუფლების პროცესსაც (ნათაძე, 1956). უესტური მეტყველების პირველადობის ფსიქოლოგიური ბუნების საკითხით დაინტერესდა დ. რამიშვილი (რამიშვილი, 1956). ქ. მდივნის იმავე წელს გამოქვეყნებული კვლევა ეხებოდა წერიტი მეტყველების განვითარების ფსიქოლოგიურ საკითხებს (მდივანი, 1956). დასახელების პროცესით 1957 წელს დაინტერესდა ა. ბაინდურაშვილი და სცადა მისი ფსიქოლოგიური ბუნების გარკვევა (ბაინდურაშვილი, 1957). ნ. იმედაძის იმავე წელს გამოქვეყნებული ნაშრომი ეხებოდა ბავშვის მიერ ორი ენის ერთდროული დაუფლების პროცესის ფსიქოლოგიურ ანალიზს (იმედაძე, 1957). ამავე პერიოდში გ. მჭედლიშვილი ცდილობდა მეტყველების ისეთ შეცდომების ფსიქოლოგიური ბუნების მითითებას, როგორებიცაა კონტამინაცია და სუბსტიტუცია. ნ. ჭრელაშვილმა სცადა აეხსნა ბავშვის მეტყველებაში სიტყვის ფორმალურ-გრამატიკული ცვლადობის დასაწყისის ფსიქოლოგიური ბუნება (ჭრელაშვილი, 1956). ამავე მეცნიერის 1962 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი ონტოგენეზში სიტყვის დაუფლების ფსიქოლოგიურ მექანიზმს ეხება (ჭრელაშვილი, 1962). თავის კვლევაზე დაყრდნობით, ნ. იმედაძე ორი ენის დაუფლების ფუძემდებლურ მექანიზმად განწყობის ცნებას მოიაზრებს. ამავე მეცნიერის 1963 წელს ჩატარებული კვლევა ეხებოდა ქართულ სკოლაში რუსული ენის ლექსიკის დაუფლების ზოგიერთი ფსიქოლოგიური საკითხის გარკვევას (იმედაძე, 1963). ასევე მნიშვნელოვანია ნ. იმედაძის მიერ 3-5 წლის ქართულენოვანი ბავშვების ნარატივების ფსიქოლინგვისტური ანალიზი და შედეგების შედარება ინგლისურ, გერმანულ, ებრაულ და ესპანურენოვან ბავშვთა ნარატივებთან იმავე მასალის გამოყენებით (იმედაძე, 2017). ნ. ჭრელაშვილის კვლევის მიხედვით, წინადადების ჩამოყალიბება, რომელსაც ადამიანი მიმართავს აზრის გამოსახატავად, თვითნებური პროცესი არ არის (ჭრელაშვილი, 1965). ენობრივი პროცესის ფსიქოლოგიური მექანიზმის გარკვევას ცდილობდა დ. რამიშვილი (რამიშვილი, 1980).

ენის განვითარების სპეციფიკური დარღვევისა და ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე ქართულენოვანი ბავშვის ენისა და მეტყველების თავისებურების ლინგვისტურ და ნეიროფსიქოლოგიურ ანალიზთან დაკავშირებით კვლევა არ ჩატარებულა. აღნიშნული კვლევა კი მნიშვნელოვან დიაგნოსტიკურ ინფორმაციას მოგვანოდებს იმ მარკერების დიფერენცირებით, რომლებიც ქართულ ენაზე მოუბარი ბავშვებისთვის არსებითია. მისი ნეიროფსიქოლოგიური მექანიზმის ახსნა კი დაგეგმვად ჩარევის გეგმის შემუშავებასა და, შესაბამისად, ბავშვთა აბილიტაციის პროცესის სარგებლიანობის გაზრდაში.

კვლევის მიზანი

- ✓ ექსპრესიული ენის დარღვევის ლინგვისტური და ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი ქართულენოვან 4-6 წლის ასაკის ბავშვებთან;

- ✓ ექსპრესიული ენის დარღვევის ლინგვისტური და ნეიროფსიქოლოგიური ანალიზის შედეგების შედარება ასაკის შესაბამისად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე ბავშვების მონაცემებთან - ენის კომპონენტების (ფონოლოგია, სემანტიკა, სინტაქსი, მორფოლოგია და პრაგმატიკა) მიხედვით დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით.

კვლევის ამოცანები

- ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევების მქონე 4-6 წლის ბავშვების ენობრივი პროდუქციის ლინგვისტური ანალიზი და ურთიერთშედარება;
- ექსპრესიული ენის სპეციფიკური დარღვევისას ყველაზე ხშირად გამოვლენილი შეცდომების ლინგვისტური და ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი;
- ანალიზი გამოვლენილი სიმპტომების შესაბამისი კოგნიტიური მოდელის ფარგლებში.

კვლევის მეთოდი, მონაწილეები და პროცედურა

კვლევის დროს გამოვიყენეთ კონტროლირებული დაკვირვების მეთოდი. კვლევის მონაწილეების ვერბალური ქცევის პროვოცირებისთვის დავგეგმეთ სპეციალური დავალებები. კვლევის დროს ბავშვის მეტყველებას ვინერდით ხმის ჩამწერი აპარატით.

კვლევაში მონაწილეობდნენ ექსპრესიული ენის დარღვევისა და ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე 4–6 წლის ბავშვები, სულ 40 მონაწილე (თითოეულ ჯგუფში - 20 მონაწილე). კვლევაში ექსპრესიული ენა ფასდებოდა ფორმალურ და არაფორმალურ სიტუაციაში. პირველი მათგანი გულისხმობდა ბავშვთან წინასწარგანსაზღვრულ, მიზანმიმართულ ქმედებას: კითხვები ბავშვის ახლოგარემოცვისა და ინტერესების შესახებ (10 წუთი); სიუჟეტური სურათის აღწერა (5 წუთი); მეორე, არაფორმალური სიტუაცია კი გულისხმობდა ბავშვთან ერთად თავისუფალ და შემოქმედებით თამაშს (15 წუთი).

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო:

- ბავშვის ასაკი 4–დან 6 წლამდე
- ექსპრესიული ენის სპეციფიკური დარღვევის დიაგნოზი;
- საკონტროლო ჯგუფისთვის - ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის არსებობა;
- სამეტყველო პროდუქციის არსებობა, კერძოდ - ელემენტარული ფრაზული მეტყველებისა.

გამორიცხვის კრიტერიუმი იყო:

- თანმხლები ფსიქიკური განვითარების სხვა დარღვევების არსებობა;
- თანმხლები ენდოკრინული ან გენეტიკური მდგომარეობა;

ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე...

შერჩევაში ბავშვის ჩართვის პროცედურა:

1. ბავშვის განვითარების სკრინინგი და ნევროლოგიური შეფასება ნევროლოგის მიერ;
2. ბავშვის განვითარების დიაგნოსტიკა ნეიროფსიქოლოგის მიერ;
3. ბავშვის შეფასება ბავშვთა ფსიქიატრის მიერ;

კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ბავშვის ჩართვა კვლევაში:

- ბავშვის ვერბალური პროდუქციის სტრუქტურული/ლინგვისტური და ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი;

მონაცემთა სანყის დამუშავება

სანყის დასამუშავებელ მასალას წარმოადგენდა ბავშვის მეტყველების ხმოვანი ჩანაწერი (ხმის ჩამწერი აპარატით). შემდგომ მოცემულმა ჩანაწერმა მიიღო ნერილობითი ნიმუშის სახე, რომელიც დამუშავდა ამ კრიტერიუმების მიხედვით:

1. ბავშვის მიერ მთლიანად გამოყენებული სიტყვის ეკვივალენტების, მეტყველების ნაწილების (ცალ-ცალკე), ერთმანეთისგან განსხვავებული სიტყვების რაოდენობა; განსხვავებული სიტყვების რაოდენობა =

$$\frac{\text{მთლიანი სიტყვების რაოდენობა}}{\text{განსხვავებული სიტყვების რაოდენობა}} \quad (\text{Hedge \& Maul, 2006})$$

2. შეცდომის ტიპები (სემანტიკური, სინტაქსური, ფონეტიკური, პრაგმატული, მორფოლოგიური) და მათი მთლიანი რაოდენობა ენის კომპონენტების მიხედვით;
3. გამონათქვამის სიგრძის საშუალო მაჩვენებელი ფორმალურ და არაფორმალურ სიტუაციაში; გამონათქვამის სიგრძე =

$$\frac{\text{მორფემების მთლიანი რაოდენობა}}{\text{ფრაზების მთლიანი რაოდენობა}} \quad (\text{Hedge \& Maul, 2006})$$


მოგვიანებით დიდი მოცულობის რაოდენობრივი მასალის დასამუშავებლად გამოვიყენეთ სტატისტიკური პაკეტი - SPSS-23 და STATA, ჯგუფთაშორისი და ჯგუფშიგნითა დიზაინისთვის აუცილებელი აღწერითი სტატისტიკური მეთოდები, დამუშავების პროცესში გამოვიყენეთ საშუალოთა შედარების მეთოდი, კონკრეტულად კი - T-კრიტერიუმი (Independent Sample T-test), ასევე - კორელაციური და რეგრესული ანალიზი, შედეგების ახსნას კი შევეცადეთ ენის კოგნიტიურ-ნეიროფსიქოლოგიური მოდელების ფარგლებში.

კვლევის შედეგები

ჯგუფთა შიდა მონაცემთა შედარება:


1. ნორმალური ენობრივი უნარის მქონე ბავშვების შემთხვევაში არსებითი სახელების გამოყენება მნიშვნელოვნად სჭარბობს გამოყენებული ნაცვალსახელებისა ($t(19) = 7,37, p < 0,001$) და ზედსართავი სახელების რაოდენობას ($t(19) = 10,74, p < 0,001$). ამასთან, სემანტიკური შეცდომები აღემატება არტიკულაციურს ($t(19) = -4,07, p < 0,001$)

დიაგრამა 1: ნორმის შემთხვევაში გამოყენებული მეტყველების ნაწილების და დაშვებული შეცდომების ტიპების ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული წყვილები.



ექსპრესიული ენის დარღვევის შემთხვევაში არსებითი სახელების გამოყენება მნიშვნელოვნად აღემატება ნაცვალსახელებსა ($t(19) = 3,87, p < 0,001$) და ზედსართავ სახელებს ($t(19) = 7,95, p < 0,001$). არტიკულაციური შეცდომები სჭარბობს ფონოლოგიურს ($t(19) = 4,628, p < 0,001$) და სემანტიკურს ($t(19) = 4,38, p < 0,001$), სინტაქსური კი – სემანტიკურს ($t(19) = 4,191, p < 0,001$).

დიაგრამა 2: ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვების მიერ გამოყენებული მეტყველების ნაწილების და დაშვებული შეცდომების ტიპების ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული წყვილები:



ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე...

- ნორმის შემთხვევაში გამონათქვამის სიგრძის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იმატებდა გამოყენებული ნაცვალსახელების ($F(5) = 15,609, p < 0,001$), არსებითი სახელების ($F(5) = 6,401, p < 0,005$) და ზმნების ($F(5) = 18,542, p < 0,001$) რაოდენობა. იმავედროულად, იზრდებოდა დაშვებული სინტაქსური ($F(5) = 3,116, p < 0,05$) და პრაგმატული შეცდომების ($F(5) = 4,629, p < 0,001$) ოდენობა.


ექსპრესიული ენის დარღვევის დროს გამონათქვამის სიგრძის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იმატებდა გამოყენებული არსებითი სახელებისა ($F(5) = 3,153, p < 0,05$) და ზმნების ($F(5) = 4,219, p < 0,05$) რაოდენობა. იმავედროულად, იზრდებოდა დაშვებული სინტაქსური შეცდომების ($F(5) = 4,061, p < 0,05$) ოდენობა.

- ნორმის შემთხვევაში ბავშვის მიერ გამოყენებული სიტყვების რაოდენობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იმატებდა ნაცვალსახელების ($F(4) = 27,146, p < 0,001$), არსებითი სახელების ($F(4) = 14,702, p < 0,001$), ზმნების ($F(4) = 30,955, p < 0,001$) და ზედსართავი სახელების ($F(4) = 3,894, p < 0,05$) რაოდენობა. ამასთან, იზრდებოდა დაშვებული პრაგმატული შეცდომების ($F(4) = 4,708, p < 0,001$) რაოდენობა და გამონათქვამის სიგრძე ($F(4) = 18,893, p < 0,001$).

ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში მათ მიერ გამოყენებული სიტყვების რაოდენობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იმატებდა ნაცვალსახელების ($F(5) = 49,472, p < 0,001$), არსებითი სახელების ($F(5) = 12,029, p < 0,001$), ზმნების ($F(5) = 41,730, p < 0,001$), ზედსართავი სახელების ($F(5) = 12,788, p < 0,001$) რაოდენობა. ამასთან, იზრდებოდა დაშვებული სინტაქსური შეცდომების ($F(5) = 4,304, p < 0,05$), მორფოლოგიური შეცდომების ($F(5) = 39,224, p < 0,05$), გამოყენებული განსხვავებული სიტყვების რაოდენობა ($F(5) = 6,630, p < 0,05$) და გამონათქვამის სიგრძე ($F(5) = 4,345, p < 0,05$).

- გამონათქვამის სიგრძე ფორმალურ და არა ფორმალურ სიტუაციაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ნორმის ($t(19) = 3,897, p < 0,001$), ისე - ექსპრესიული ენის დარღვევისას ($t(19) = 4,250, p < 0,001$).

დიაგრამა 3: ჯგუფთა შიდა მონაცემით ფორმალურ და არაფორმალურ სიტუაციაში გამონათქვამის სიგრძის მაჩვენებელი



ჯგუფთა შორის მონაცემთა შედარება:


5. ნორმალურ და ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა დაშვებული შეცდომების მიხედვით ($F(1)=15,106, p<0,001$). ეს ორი ჯგუფი, მეტყველების ნაწილების გამოყენების თვალსაზრისით, უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან.

დიაგრამა 4: ჯგუფთა ურთიერთგანსხვავება მეტყველების ნაწილების გამოყენებისა და დაშვებული შეცდომების მიხედვით.



6. ექსპრესიული ენის დარღვევისა და ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე ჯგუფი ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება არტიკულაციური შეცდომების ($t(38) = -4,65, p<0,001$), ფონეტიკური შეცდომების ($t(38) = -2,48, p<0,05$), სინტაქსური შეცდომების ($t(38) = -3,67, p<0,001$), გამონათქვამის სიგრძისა ($t(38) = 3,62, p=0,001$) და მთლიანად დაშვებული შეცდომების რაოდენობის მიხედვით ($t(38) = -5,36, p<0,001$).


დიაგრამა 5: ნორმალურ და ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები



ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე...

7. ჯგუფებს შორის მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, რომ ნორმის შემთხვევაში გამონათქვამის სიგრძე მნიშვნელოვნად აღემატებოდა ექსპრესიული ენის დარღვევის დროს გამონათქვამის სიგრძეს, როგორც ფორმალურ ($t(38)=3,624$, $p<0,001$), ისე არაფორმალურ სიტუაციაში ($t(38)=3,569$, $p<0,001$).

დიაგრამა 6: ჯგუფებს შორის შედარება ფორმალურ და არაფორმალურ სიტუაციაში გამონათქვამის სიგრძის მიხედვით.



8. რეგრესული ანალიზის საშუალებით მთლიანად ნათქვამი სიტყვების რაოდენობისა და გამონათქვამის სიგრძის მიხედვით შეგვიძლია ვინინასწარმეტყველოთ შეცდომების ტიპები მხოლოდ ნორმის შემთხვევაში ($F(5)=19,782$, $p<0,001$).

შედეგების ინტერპრეტაცია

კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, რომ ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვებთან არსებითი სახელების რაოდენობა მნიშვნელოვნად სჭარბობდა ნაცვალსახელებისა და ზედსართავი სახელების გამოყენებას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ რომ ქართულ ენაში წინადადების მთავარი წევრი ქვემდებარეა, რომელიც, ძირითადად, არსებითი სახელით გამოიხატება. შესაბამისად, ის წინადადების აუცილებელი კომპონენტია, რომლის გარეშეც შინაარსის ასახვა შეუძლებელია. ამასთან, არსებითი სახელი საგნის აღმნიშვნელია და შინაარსის დაფიქსირებისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე - ნაცვალსახელი. ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავება რაოდენობრივია, რაც გამოიხატება მეტი დაშვებული შეცდომითა და გამონათქვამის სიგრძის სიმცირით. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ექსპრესიული ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე ბავშვის ენობრივი განვითარება ნორმალურის მსგავსი კანონზომიერებით მიმდინარეობს. აქ არ გვხვდება ენის ატაპური განვითარება, არამედ ჩვენ წინაშე უნარის უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ათვისება, რაც ეთანხმება ზემოთ მოყვანილ იდეას (Bavin, 2009).

ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე ბავშვების შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ სემანტიკური შეცდომები სჭარბობს არტიკულაციურს. ეს შედეგი მოსალოდნელია, რადგან ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის (4–6 წელი) ლექსიკონის გამ-

დიდრების პროცესი კვლავ აქტიურად მიმდინარეობს, მაშინ როცა სიტყვის სწორად წარმოთქმა ამ პერიოდისთვის უკვე აუცილებელია. საწინააღმდეგო შედეგი გვაქვს ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვებთან. აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევაში არტიკულაციური შეცდომები ჭარბად გვხვდება, რაც დაკავშირებულია ბგერათა წარმოთქმის უნარის ათვისების პროცესის გახანგრძლივებასთან. მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, რომ გამონათქვამის სიგრძის ზრდასთან ერთად ნორმის შემთხვევაში იმატებდა გამოყენებული ნაცვალსახელების, არსებითი სახელებისა და ზმნების რაოდენობა. ეს ბუნებრივია, რადგან გამონათქვამის სიგრძის დასათვლელად გვჭირდება მორფემების რაოდენობის განსაზღვრა (მეტი მორფემა უკავშირდება უფრო გრძელ გამონათქვამს). მორფემების დიდი რაოდენობა კი პირდაპირ არის დაკავშირებული არსებითი სახელების, ნაცვალსახელებისა და ზმნების, აგრეთვე - სუფიქსების, პრეფიქსებისა და აფიქსების რაოდენობასთან. შესაბამისად, რაც უფრო მეტი არსებითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა გამოიყენებოდა, მით მეტად იზრდებოდა მორფემების რაოდენობა და, შესაბამისად - გამონათქვამის სიგრძეც.

ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვების შემთხვევაში გამონათქვამის სიგრძის ზრდასთან ერთად იზრდებოდა არსებითი სახელებისა და ზმნების გამოყენების რაოდენობა. თუმცა საინტერესოა, რატომ არ აღმოჩნდა გამონათქვამის სიგრძე დაკავშირებული პირველ შემთხვევაში (ნორმა) ზედსართავი სახელების და ექსპრესიული ენის დარღვევის დროს ზედსართავი სახელებისა და ნაცვალსახელების რაოდენობის ზრდასთან. ამ ფაქტის ახსნაც შესაძლებელია, თუ განვითვალისწინებთ, რომ გამოყენებული ზედსართავი სახელების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება არსებითი სახელებისა და ზმნების გამოყენების შემთხვევებს. შესაბამისად, ნაკლები გავლენა მოახდინა გამონათქვამის სიგრძეზე. იგივე შეიძლება ითქვას ექსპრესიული ენის დარღვევის დროსაც. ნაცვალსახელების რაოდენობა არც აქ უკავშირდება გამონათქვამის ზდას. ეს გამომწვეულია ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე ბავშვების საუბრისთვის დამახასიათებელი მოკლე წინადადებებისა და წინადადების მხოლოდ აუცილებელი ნევრების გამოყენებით. ამასთან, ზედსართავ სახელებსა და ნაცვალსახელებს ნაკლები მორფემული დატვირთვა აქვთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნაცვალსახელები და ზედსართავი სახელები ნაკლები რაოდენობის მორფემას შეიცავენ, არსებით სახელთა და ზმნათაგან განსხვავებით. შესაბამისად, მათი გავლენა წინადადების სიგრძეზე ნაკლებია.

ორივე ჯგუფის შემთხვევაში გამონათქვამის სიგრძის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სინტაქსური შეცდომების რაოდენობაც. ეს ბუნებრივია, რადგან გრძელი გამონათქვამი უფრო რთულ გრამატიკულ სტრუქტურასთანაა დაკავშირებული და, შესაბამისად, მეტ მოთხოვნას უყენებს ბავშვებს. ამ მოთხოვნებთან გაუმკლავებლობა კი გამოიხატა სწორედ სინტაქსური შეცდომების გაზრდით გამონათქვამის სიგრძის მატებასთან ერთად.

ჯგუფების შიგნით მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, რომ ორივე შემთხვევაში გამონათქვამის სიგრძე ფორმალურ სიტუაციაში აღემატებოდა არაფორმალურს. ეს ბუნებრივია, რადგან ფორმალური სიტუაცია ბავშვის მეტყველების პირდაპირი „პროვოკატორია“, არაფორმალურ სიტუაციაში კი ენობრივი პროდუქცია მთლიანად ბავშვის ნებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ორივე ჯგუფში არაფორმალურ

ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე...

სიტუაციაში მოზარდები მოკლე ფრაზების გამოყენებით შემოიფარგლნენ.

ჯგუფების მონაცემთა ანალიზით გამოვლინდა, რომ გამონათქვამის სიგრძე როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ სიტუაციაში ნორმის შემთხვევაში სჭარბობდა ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ჯგუფის მონაცემს. ეს შედეგი აბსოლუტურად ლოგიკურია და შეესაბამება ორივე ჯგუფის გამონათქვამის სიგრძის მაჩვენებელს.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას გავამახვილებთ ორი ჯგუფის ურთიერთ-განსხვავებაზე, რაც გამოიხატა არტიკულაციური, ფონეტიკური, სინტაქსური შეცდომებით, შეცდომების მთლიანი რაოდენობითა და გამონათქვამის სიგრძით. ეს განსხვავება აბსოლუტურად შეესაბამება ქართული ენის სპეციფიკას. ქვემოთ შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ ქართული ენის მახასიათებლებსა და იმ მოთხოვნებზე, რომელთაც ენა შეიძლება უყენებდეს ქართულად მოუბარ ინდივიდებს.

ქართული ენის რთული ფონოლოგია

რამდენიმე მაგალითი

- ქართველური ენებისთვის დამახასიათებელია ხმოვანთა სიმცირე და თანხმოვანთა სიუხვე. თანხმოვანთა სისტემებისთვის ნიშანდობლივია „კავკასიური მკვეთრები (აბრუპტივები: პ ტ კ ნ ჭ ყ) (ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის საკითხები, 1992). ასეთი მკვეთრი თანხმოვნები ანუ აბრუპტივები დამახასიათებელია მხოლოდ იბერიულ-კავკასიური ენებისთვის. იგი არ მოეპოვება თანამედროვე ევროპულ ენებს (ფეიქრიშვილი, 2007a) (ფეიქრიშვილი, 2007b).
- ქართულში უმთავრესი ფონეტიკური მოვლენებია ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია, რედუქცია, ხმოვნის კვეცა, ბგერის ჩართვა, ბგერათა შერწყმა, ანალოგია. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვაში ერთდროულად სხვადასხვა სახის ცვლილებებიც ხდება.

სწორედ ქართული ენის რთული ფონოლოგიით აიხსნება ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ქართულენოვან ბავშვებთან ნორმისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული ფონეტიკური და არტიკულაციური შეცდომების შემთხვევები. მაგალითად, ფონეტიკური შეცდომებია: „იასაფნისფერი“, „ვსუნტავთ“, „ახლა ზალიკოს ცენტრში უნდა წავიდე. წავალ ოცხაექს აპრილს“, „ბალში, რახაცა ვითამაშე, კუბიკებით“.

ქართული ენის რთული სინტაქსი

ახალი ქართულისთვის ტრადიციულ გრამატიკაში გამოყოფილია 10 მეტყველების ნაწილი: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, თანდებული, ნაწილაკი, კავშირი, შორისდებულის. თითოეული მეტყველების ნაწილი და მათი წარმოება საკმაოდ ძნელია.

მაგალითად, არსებითი სახელი:

- ❖ არსებით სახელს ვახასიათებთ მისი შინაარსისა და ფორმის მიხედვით. შინაარსის მიხედვით, არსებითი სახელები იყოფა ადამიანთა და არა - ადამიანთა (სულიერი

და უსულო, საკუთარი და საზოგადო, კონკრეტული და აბსტრაქტული, კრებითი, ნივთიერებათა, მოქმედების სახელები) ჯგუფებად. ამასთან, არსებითი სახელი ფორმაცვალებადი სიტყვაა. ქართულ ენაში იგი იცვლება ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით. ტრადიციულ ქართულ ენაში გამოიყოფა 7 ბრუნვა.

- ❖ არსებითი სახელის ფუძეზე ბრუნვის ნიშნის დართვისას შეიძლება სხვადასხვა კანონზომიერება არსებობდეს (მაგალითად, შეკვეცა, გაორმაგება და ა.შ). ამასთან, არსებობს თანდებულიანი ბრუნვებიც, რომელთა შემთხვევაშიც დამატებითი წესების გამოყენებაა საჭირო.
- ❖ არსებითი სახელის რიცხვი შეიძლება იყოს არითმეტიკული და გრამატიკული. არითმეტიკული რიცხვი ცალკე სიტყვით გადმოიცემა, გრამატიკული კი ახლავს სიტყვის ფორმას (ბავშვი – ბავშვები). ერთმანეთს უპირისპირებენ აგრეთვე გრამატიკულსა და სემანტიკურ რიცხვს. გრამატიკული რიცხვი სპეციალური ნიშნით გამოიხატება, სემანტიკური კი სიტყვის შინაარსითაა გადმოცემული. გრამატიკული რიცხვი, თავის მხრივ, ორგვარია: მხოლობითი და მრავლობითი. ქართულში მრავლობითი რიცხვი ორგვარია – ებიანი და ნართანიანი. ებიან მრავლობითს აქვს 7 ბრუნვა, ნართანიანს – 5. აქედან ნართანია 2 (სახელ. ნოდ), თანიანი – 3 (მოთხ. მიც. ნათ). ქართულში სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება ევროპულ ენებთან შედარებით განსხვავებულია.

ქართული ენისთვის დამახასიათებელი რთული სინტაქსური წესებით აიხსნება ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ქართულენოვან ბავშვებთან ნორმისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სინტაქსური შეცდომების შემთხვევები. მაგალითად, სინტაქსური შეცდომებია: „აქაც არის კატები“, „გაზქურაში დავდოთ პიცა და შევწვათ“.

წინადადებები ქართულ ენაში

მაგალითი:

- ❖ ქართულში წინადადება, აგებულების მიხედვით, სამი სახისაა: მარტივი, შერწყმული და რთული.
- ❖ მარტივი წინადადება შეიძლება იყოს ერთშემადგენლიანი, ორშემადგენლიანი, სამშემადგენლიანი, ოთხშემადგენლიანი.
- ❖ რთული წინადადება შედგება ორი ან მეტი კომპონენტისგან (წევრი წინადადებისგან). იგი შეიძლება იყოს რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი. ქართულში ზოგჯერ გვხვდება ისეთი რთული წინადადება, სადაც ერთდროულად გვაქვს თანწყობაც და ქვეწყობაც. ასეთ წინადადებას ზერთულს უწოდებენ. მასში ერთდროულად გამოყენებულია მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები.

ამით აიხსნება ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ქართულენოვან ბავშვებთან ნორმისაგან განსხვავებული მნიშვნელოვნად პატარა წინადადებების გამოყენების შემთხვევები. მაგალითად, გამოყენებული წინადადებების სიგრძე:

მკვლევარი: „- სად იმალება კატა?“ ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვის

ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე...

პასუხი „ - ბალახში“; „მერე ის უნდა დაიჭილოს“,

მკვლევარი: „-სად იმალება კატა?“ ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე ბავშვი: „- მწვანე ბალახში ჩამძვრალა და იმალება“. „კატა იმალება, რომ ჩიტს მიეპაროს და შემდეგ დაიჭიროს“.

შესაბამისად, მიღებული შედეგები სრულად აიხსნება ქართული ენის ლინგვისტური მახასიათებლებით. საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ენისთვის დამახასიათებელია სწორედ რთული ფონოლოგია, სინტაქსი, ძნელად წარმოსათქმელ ბგერათა ჯგუფები, რთული წინადადებების წარმოების პერსპექტივა, რაზეც საუბრობენ ქართველი ენათმეცნიერები.

Levelt-ის მეტყველების კოგნიტიური მოდელის (იხ. სურათი 1) ფარგლებში ორი ჯგუფის ურთიერთგანსხვავების ინტერპრეტირებისას აღმოვაჩინეთ, რომ პრობლემურ რგოლს შეიძლება წარმოადგენდეს გრამატიკული, ფონოლოგიური კოდირების და დამატებით ფონეტიკური გეგმის არტიკულაციის საფეხური. შესაბამისად, ენისა და მეტყველების თერაპიის გეგმა მოცემული დეფიციტების პირველადობის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევის შედეგები ერთი ლოგიკური ერთობაა და მთლიანად იხსნება ქართული ენის სპეციფიკით.

დასკვნა

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემის ინტერპრეტაციით შეგვიძლია გამოვიტანოთ ოთხი ზოგადი დასკვნა: 1. ექსპრესიული ენის დარღვევა არ გულისხმობს ენის ატიპურ განვითარებას. ამ დროს ენის დაუფლება გახანგრძლივებულია. 2. ექსპრესიული ენის დარღვევის დროს გამოვლენილ დეფიციტთა პროფილი დამოკიდებულია კონკრეტულ ენასა და მის მიერ ბავშვისათვის წაყენებულ მოთხოვნებზე. 3. ქართულად მოუბარი ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია უპირატესად ფონეტიკური, არტიკულაციური, სინტაქსური შეცდომები და მოკლე წინადადებებით საუბარი; 4. ქართულენოვან ბავშვთა პოპულაციაში, Levelt-ის კოგნიტიური მოდელის მიხედვით, დეფიციტური რგოლია გრამატიკული და ფონოლოგიური კოდირების საფეხური და დამატებით - ფონეტიკური გეგმის არტიკულაციის საფეხური.

- **კვლევის სამეცნიერო ღირებულება** - კვლევის საშუალებით მივიღეთ ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელი პროფილი, რომელიც უნიკალურია ქართულენოვანი ბავშვების პოპულაციისთვის. ამასთან, კვლევა საშუალებას გვაძლევს, თანამედროვე კოგნიტიური ფსიქოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ფარგლებში, ენობრივი კომპონენტების ანალიზის დახმარებით, მივუთითოთ ენის განვითარების სპეციფიკური დარღვევის დროს ენის კოგნიტიური სტრუქტურის პრობლემურ რგოლზე. აღნიშნული შედეგები უნიკალური და პირველია ქართულენოვანი პოპულაციისთვის.
- **კვლევის პრაქტიკული ღირებულება** - აღნიშნული კვლევა საშუალებას მოგვცემს შევექმნათ საორიენტაციო მოდელი, თუ როგორ უნდა ფასდებოდეს ბავშვთა

ენა და ობიექტურად ინტერპრეტირდებოდეს შედეგები. მიღებული შედეგების ნეიროფსიქოლოგიური ანალიზი კი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ენის სპეციფიკური დარღვევისთვის დამახასიათებელი კოგნიტიური მექანიზმი და მასთან დაკავშირებული ნეიროფსიქოლოგიური ფაქტორები. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის შედეგები ობიექტურს გახდის დიაგნოსტიკების პროცესს და ხელს შეუწყობს ზუსტი, მიზანმიმართული ჩარევის გეგმის შემუშავებას, რაც, საბოლოოდ, გაზრდის აბილიტაციის სარგებლიანობას.

კვლევის სუსტი მხარეები და სამომავლო განვითარება:

1. მხოლოდ ერთი ასაკობრივი კატეგორიის განხილვა – საინტერესო იქნებოდა სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის შერჩევა და ურთიერთშედარება, როგორც ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარის მქონე, ისე ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ბავშვების ჯგუფში. ეს საშუალებას მოგვცემდა, გამოგვევლინა ასაკობრივი თავისებურებები, კანონზომიერებები. გვეჩვენებინა, რა ტიპის შეცდომები სჭარბობს ადრეულ ან გვიანდელ ასაკში და ა.შ. კვლევის სუსტ მხარედ შესაძლოა ჩაითვალოს თავად 6-4 წლის ასაკობრივი საფეხურის ერთ მთლიან და არა - დაყოფილ კატეგორიებად განხილვა. სასარგებლო იქნებოდა 2 წლიანი პერიოდის 6 თვედ დაყოფა და მიღებული შედეგების ურთიერთშედარება.
2. მხოლოდ ექსპრესიული ენის დარღვევის განხილვა - ძალიან საინტერესო იქნებოდა ენის სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე ბავშვთა შეფასება. აღმოჩნდა, რომ ექსპრესიული ენის დარღვევის მქონე ჯგუფის ენობრივი უნარის განვითარება თითქმის ისეთივე კანონზომიერებით ხასიათდება, რომელსაც ვხვდებით ნორმის შემთხვევაში. შესაბამისად, განსხვავება რაოდენობრივია (შეცდომების რაოდენობა) და არა - თვისებრივი. საინტერესოა, რა სურათია სხვა მდგომარეობების დროს;
3. კვლევის პროცედურა – ბავშვების ინდივიდუალობის გათვალისწინებით, ვერ ჩატარდა ზუსტად ერთნაირი კვლევის პროცედურა. საჭირო იყო თითოეული ბავშვის შემთხვევაში განსხვავებული მიდგომა ბავშვის მეტყველებითი აქტივობის პროვოცირებისთვის. ეს გამოცდილება გასათვალისწინებელია შემდგომი კვლევისას.
4. სუბიექტური შეფასება – ბავშვების მეტყველების ჩანაწერის წერილობით ფორმად გარდაქმნის, ასევე, შეცდომის ტიპების, გამონათქვამის სიგრძის თუ განსხვავებული სიტყვების დათვლის პროცესში გასათვალისწინებელია მკვლევრის სუბიექტურობა. ეს გამოცდილება აგრეთვე გასათვალისწინებელია შემდგომი კვლევისას.

ნორმალურად განვითარებული ენობრივი უნარისა და ენის სპეციფიკური დარღვევის მქონე...

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაინდურაშვილი, ა. (1957). ექსპერიმენტული მასალები სახელდების პრობლემისთვის. *ფსიქოლოგია*, 232-254.
- იმედაძე, ნ. (2017). *ბავშვის მიერ ქართულის, როგორც მშობლიური ენის, დაუფლების საიდუმლოებები: ფსიქოლინგვისტური პერსპექტივა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- იმედაძე, ნ. (1963). ქართულ სკოლაში ენის ლექსიკური დაუფლების ზოგიერთი ფსიქოლოგიური საკითხი. *ფსიქოლოგია*, 92-100.
- იმედაძე, ნ. (1957). ბავშვის მიერ (სამ წლამდე) ორი ენის ერთდროული დაუფლების პროცესის ფსიქოლოგიური ანალიზისთვის. *ფსიქოლოგია*, 256-285.
- მდივანი, ქ. (1956). წერითი მეტყველების განვითარების ფსიქოლოგიური საკითხები. *ფსიქოლოგია*, 151-182.
- მოსიავა, ა. (1953). წერის პროცესის ფსიქოლოგიური ანალიზი. *ფსიქოლოგია*, 3-63.
- ნათაძე, რ. (1956). ცნების დაუფლების ორი გზა სასკოლო პერიოდში. *ფსიქოლოგია*, 45-76.
- ნათაძე, რ. (1953). კონტექსტიდან ცნების შემუშავების ონტოგენეზი. *ფსიქოლოგია*, 104-140.
- რამიშვილი, დ. (1980). ენობრივი პროცესის ფსიქოლოგიური მექანიზმი და შემეცნების თეორია. *თბილისი*, 3-169.
- რამიშვილი, დ. (1956). ხელთი ენის პირველადობის ფსიქოლოგიური შეუძლებლობის შესახებ. *ფსიქოლოგია*, 77-124.
- ფეიქრიშვილი, ჟ. (2007). *ზოგადი ენათმეცნიერებისა და ქართველოლოგიის საკითხები*. თბილისი: სულხან საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი.
- ფეიქრიშვილი, ჟ. (2007). *ქართული ენა*. თბილისი: სულხან საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი.
- ფეიქრიშვილი, ჟ. (1992). *ქართველოლოგიის საკითხები*. ქუთაისი: სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა სარანგი.
- ჭრელაშვილი, ნ. (1965). ბავშვის ამეტყველების ფსიქოლოგიური ბუნება. *ფსიქოლოგია*, 3-179.
- ჭრელაშვილი, ნ. (1962). ონტოგენეზში სიტყვის დაუფლების ფსიქოლოგიური მექანიზმი. *ფსიქოლოგია*, 102-116.
- ჭრელაშვილი, ნ. (1956). ბავშვის მეტყველებაში სიტყვების ფორმალურ-გრამატიკული ცვლადობის დასაწყისის ფსიქოლოგიური ბუნება. *ფსიქოლოგია*, 183-199.
- ჭულიტი, ლ., ჰოვარდი, მ., & ფეჰი, კ. (2012). *დაბადებულია, რომ ილაპარაკოს* [Born to talk]. თბილისი: ქართული ბიოგრაფიული ცენტრი.
- Bavin, E. L. (2009). *The Cambridge Handbook of Children Language*. Cambridge: Cambridge University Press.
- Hedge, M. N., & Maul, C. A. (2006). *Language Disorders in Children*. Boston: Pearson Education.
- Jeleta, E. (2019). DICHOTOMY CONCEPTS IN LANGUAGE BY FERDINAND DE SAUSSURE. *Academia*.

- Levelt, M. J. (2009). *The Skill of Speaking, Psychology*. The Netherlands: Plank Institute of Psycholinguistics.
- Lyons, M. (2013). *Normal Language Development*. In: Volkmar F.R. (eds) *Encyclopedia of Autism Spectrum Disorders*. New York: Springer. Springer.com: <https://link.springer.com/>
- McLeod, S., & McCormack, J. (2015). *An Introduction to Speech, Language and Literacy*. New Zealand: Oxford University Press.
- Stenberg, R., & Stenberg, K. (2012). *Cognitive Psychology*. Belmont: Wadsworth.

LINGUISTIC AND NEUROPSYCHOLOGICAL ANALYSIS OF LANGUAGE PRODUCTION IN 4-6-YEAR-OLD GEORGIAN-SPEAKING CHILDREN WITH TYPICAL LANGUAGE DEVELOPMENT AND SPECIFIC LANGUAGE DISORDER

Irine Doghadze

Tbilisi State University

Tamar Gagoshidze

Tbilisi State University

Abstract

The present study aimed at conducting the neuropsychological and linguistic analysis of expressive language disorder in the population of Georgian-speaking children. 4-6-year-old children with expressive language disorder and typical language development participated in the study (40 participants in total). The child's speech was assessed through formal testing and free play in informal situations.

The comparison of the two groups showed that the children with typical language development significantly differ from the group with language disorder by articulation ($t(38) = -4,65, p < 0,001$), phonological ($t(38) = -2,48, p < 0,05$), and syntactic errors ($t(38) = -3,67$), length of utterance ($t(38) = 3,62, p = 0,001$), and the total number of errors ($t(38) = -5,36, p < 0,001$). The above data lead to the following conclusion: Georgian-speaking children with expressive language disorder mostly make phonological, syntactic and articulation errors. They also find difficult to construct complex sentences. The comparison of the two groups did not reveal qualitative differences. Both groups made the same type of mistakes. The only difference was the total number of errors.

Regression analysis showed that the length of utterance and the total production can only predict the type of errors in average population.

The interpretation of the research results leads to four general conclusions: 1. Expressive language disorder is not atypical language development disorder and only implies prolonged language acquisition; 2. The deficiency profile manifested in the case of expressive language disorder depends on a concrete language and the requirements imposed on the child by this language; 3. Phonetic, articulation, syntactic errors and short sentences are mostly typical of Georgian-speaking children with expressive language disorder; 4. According to Levelt's cognitive model, the stage of grammatical and phonological encoding and the stage of articulation of phonetic plan are the deficient links in the population of Georgian-speaking children.

